შ.პ.ს. "კონსტუდიო"



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის №22/№24 სასაწყობო შენობის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2016

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის №22/№24 სასაწყობო შენობის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

წინა პირობები:

შპს „იქს ვაი ზეტ არქიტექტს" -ის დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია აღნიშნულ მისამართზე შენობის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. შპს **„გეოტექსერვისი"**-ს მიერ 2016 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. შპს „იქს ვაი ზეტ არქიტექტს" -ის მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის პროექტის ვექტორული ფაილი.
3. შპს „იქს ვაი ზეტ არქიტექტს" -ის მიერ "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით შესრულებული გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს „იქს ვაი ზეტ არქიტექტს" -ის მიერ შესრულებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;

საერთო:

განსახილველი რეკონსტრუქციის პროექტი წარმოადგენს ახალ 3 სართულიან მიშენებას არსებულ სასაწყობო შენობაზე.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია წერტილოვანი ცალკემდგომი საძირკვლებით ძირითად ქანებზე - საშუალო სიმტკიცის ნაცრისფერ სქელშრეებრივ ქვიშაქვებზე არგილიტების თხელი შუაშრეებით, წყალნაჯერ მდგომარეობაში ერთღერძა კუმშვაზე სიმტკიცის ზღვარით R_c= 4,7 მპა.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (400X400), კედლების (b=200), კოჭების (400X550h) და გადახურვის ფილების (h=180) კარკასული სივრცული სისტემით.

ძირითადი მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B22,5; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია – AIII და AI.

ფუძე-საძირკვლების და კარკასული სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით.

ნახაზების სახით მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშებები შესრულებულია პროფესიულ დონეზე. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებულ იქნა ჩვენს მიერ პროექტის ავტორება გაითვალისწინეს, მიიღეს და ასახეს საბოლოო მუშა დოკუმენტაციაში. კერძოდ, ძირითადი შენიშვნა შეეხო მომიჯნავე შენობების უსაფრთხოებას სამუშაოების წარმოების პროცესში. მათი მდგრადობა უნდა უზრუნველყოფილიქნას მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის და აგრეთვე, მშენებლობის წარმოების პროექტის მიხედვით - მიწის სამუშაოების წარმოების თანმიმდევრულად და რეალური მდგომარეობის შესაბამისად.

დასკვნა:

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა რეალიზაციისთვის

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს „კონსტუდიო“-ს დირექტორი, ტმდ ფდიშერ წოწერია

თბილისი 10-11-2017